დანართი N1

პროდუქტის მახასიათებლები

რაოდენობა და ნუმერაცია

1. მაქსიმალური სავარაუდო რაოდენობა - 600 000 ცალი (დაკვეთა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, სრულად ან ნაწილობრივ).
2. ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს რამდენიმე ვარიანტად შემდეგ რაოდენობებზე ცალ-ცალკე:
   - ✓ 100 000 ცალის დაკვეთის შემთხვევაში
   - ✓ 300 000 ცალის დაკვეთის შემთხვევაში
   - ✓ 400 000 ცალის დაკვეთის შემთხვევაში
   - ✓ 500 000 ცალის დაკვეთის შემთხვევაში
   - ✓ 600 000 ცალის დაკვეთის შემთხვევაში
3. ნუმერაცია 4 900 001-დან 5 500 000-ის ჩათვლით.

ტექნიკური მონაცემები

1. ზომა - 50 მმ X 100 მმ;
2. ფორმა - ოთკუთხედი;
3. ფერები - 4+4;
4. ქაღალდი - ოფსეტური, 180-200 გრ.
5. ბეჭდვა - ოფსეტური;
6. ლამინაცია - ცალმხრივი;
7. პერფორაცია, რომლის საშუალებით ბილეთი უნდა გაიყოს ორ ნაწილად დაზიანების გარეშე.
8. სკრეჩ ველი - გადასაფხეკი ველი რომლის ქვეშ დატანილი იქნება შემდეგი ტექსტი: მთავარი პრიზის მოგების შანსი, მომენტალური პრიზის დასახელება სიტყვიერად.
9. გადასაფხეკი ველის სიგრძე და სიმაღლე (ზომები) უნდა იყოს ყველა ბილეთზე იდენტური, მიუხედავად იმისა რა ტექსტი წერია მის ქვეშ.
10. გადასაფხეკი ველის ქვეშ დატანილი ინფორმაცია არ უნდა იყოს წაკითხვადი გადასაფხეკი საფარის მოშორების გარეშე, მათ შორის ისეთი ზემოქმედების მიუხედავად როგორიცაა დღის შუქი, ფულის სკანერის ან/და ფანრის მინათება და ა.შ.
11. სკრეჩ გადასაფხეკი ველის გადაფხეკის შედეგად არ უნდა დაზიანდეს ბილეთი და ველის ქვეშ დატანილი ტექსტი.
12. ნუმერაცია - ბილეთის ორივე ნაწილზე ცალ მხარეს (წინა მხარეს რომელზეც არის მთავარი პრიზი) ბილეთის უნიკალური რიგითი ნომერი და შტრიხ კოდი რომელშიც დაშიფრულია ბილეთის ნომერი.
13. დამცავი ნიშანი, ბადე - ბილეთის ორივე ნაწილზე ცალ მხარეს (წინა მხარეს რომელზეც არის მთავარი პრიზი) დამცავი ბადე.
14. დამცავი ნიშანი, სპეციალური საღებავი - ბილეთის ორივე ნაწილზე ცალ მხარეს (უკანა მხარეს) ნეოგაზის ლოგოტიპი შესრულებული სპეციალური საღებავით, რომელიც ნათდება ულტრაიისფერ დანათებაზე.

შენიშვნა: დიზაინი

ბილეთის დიზაინი არის წარმოდგენილი ნიმუშის ხარისხის შეფასების მიზნით ხოლო საბოლოო დიზაინი დამტკიცდება წამახალისებელი გათამაშების ნებართვის მოპოვების შემდეგ.

მოთხოვნები ბილეთების შეფუთვის მიმართ

1. ბილეთები უნდა იყოს დალაგებული ნუმერაციის მიხედვით მცირედან დიდისკენ (შეკვრის თავზე მცირე) 500 ცალიან შეკვრებად და მოთავსებული უნდა იყოს შეფუთვაში, რომელსაც გარედან უნდა ეწეროს რაოდენობა და ბილეთების რიგის საწყისი და ბოლო ნომერი.
2. შეფუთვა უნდა იყოს ისეთი ხარისხის რომ ტრანსპორტირებისა და გადაადგილების დროს დაცული იყოს შიგთავსი გადმოყრის, გაბნევისა და დაზიანებისგან.

სხვა მოთხოვნები

1. კონფიდენციალურობის დაცვა.
2. არასანქცირებული ტირაჟისგან დაცვა.
3. საბანკო გარანტიის წარმოდგენა ხელშეკრულების სრულ თანხაზე შემკვეთის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
4. ტირაჟის დაბეჭდვამდე სრულყოფილი ნიმუშების მომზადება.
5. მინიმუმ 100 000 ცალის მოწოდება 5 სამუშაო დღის ვადაში.
6. ბილეთების მაქსიმალური რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, დამატებითი ტირაჟის ბეჭდვის უზრუნველყოფა.
7. მოწოდება უნდა განხორციელდეს მისამართზე: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N18.